გაკვეთილის გეგმა (ჩატარების თარიღი-12.11.2017)

მასწავლებლის სახელი,გვარი:ნათელა მაჭარაშვილი
საგანი:ისტორია
სწავლების საფეხური/კლასი:საშუალო/XI[1]კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა:31
გაკვეთილის თემა:ბიზანტია და ირანი VI საუკუნეში
გაკვეთილის მიზანი:
-მოსწავლეები შეძლებენ კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეების საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგებზე მსჯელობასა და შეფასებას;
-მოსწავლეები შეეცდებიან გააანალიზონ ცალკეული ქვეყნების ინტერესები საქართველოს მიმართ კონკრეტულ ეპოქაში;

#	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო
1	გაკვეთილის დასაწყისში ხდება მოსწავლეთა დაჯგუფება დანომრილი ბურთულებით(ბურთულები დანომრილია 1-დან 4-ის ჩათვლით).შესაბამისად შეიქმნება ოთხი ჯგუფი; მოსწავლეები მიდიან მასწავლებლის მაგიდასთან და იღებენ კალათში ჩაყრილ პატარა დანომრილ ბურთულებს.მათ ეძლევათ **ინსტრუქცია**-პირველი ნომრის მფლობელნი	დაჯგუფება შემთხვევითობის პრინციპზე დაყრდნობით,ინსტრუქცია	ინდივიდუალური	დანომრილი ბურთულები	1წთ

	თავს მოიყრიან პირველ მაგიდასთან,მეორე ნომრის მფლობელნი -მეორე მაგიდასთან.ასეთი სახით მოხდება დაჯგუფება მესამე და მეოთხე ნომრების შემთხვევაშიც.				
2	ჯგუფებს ურიგდებათ ფლიპჩარტები ზედ დატანილი სათაურებით-,,ბიზანტია,, და ,,ირანი,,.ორ ფლიპჩარტზე დაწერილია ,,ბიზანტია,,ორზე კი -,,ირანი,,. მოსწავლეებს ეძლევათ ინსტრუქცია-1.დაიტანეთ ფლიპჩარტზე ,,ცოდნის პირამიდა,,. 2. ,,ცოდნის პირამიდაში,, შეიტანეთ შესაბამისი ქვეყნის (რომელი ქვეყანაც ფლიპჩარტზეა დაფიქსირებული) შესახებ ნასწავლი მნიშვნელოვანი ფაქტები/მოვლენები. 3..ფაქტებისა და მოვლენების დაფიქსირება მოხდეს მუხლობრივად.	ინსტრუქცია,ინფორმაციის შეგროვება, გაცხრილვა,ჩანაწერების გაკეთება,პრიორიტეტების განსაზღვრა,ინფორმაციის ორგანიზება, ,,ცოდნის პირამიდაში,,დაფიქსირება	ჯგუფები	ფლიპჩარტები, მარკერები	3წთ
3	,,ბიზანტიისა,,და ირანის ჯგუფებს ეძლევათ ინსტრუქცია: 1..გაერთიანდით ,,ბიზანტიის,, ჯგუფები ერთად, ,,ირანის,, ჯგუფები ერთად. 2.გაეცანით ერთმანეთის შესრულებულ დავალებას, გაამთლიანეთ ინფორმაცია,შემდეგ გაცხრილეთ,გამოყავით პრიორიტეტები,	,,თოვლის გუნდა,,-ჯგუფების გაერთიანება, ინსტრუქცია, ,ინფორმაციების გაცვლა-გამთლიანება, მსჯელობა,ინფორმაციის გაცხრილვა,პრიორიტეტების	ჯგუფები(გამთლიანებული)	დაფა, მარკერი,ფლიპჩარტი	5წთ(3თ-ინფორმაციის გაერთიანება-გაცხრილვა, პრიორიტეტების გამოყოფა, 2წთ- დაფაზე დაფიქსირებულ ,,პირამიდებში,, გადატანა და

	დატოვეთ მხოლოდ ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია . 3.ჯგუფების შეჯერების შემდეგ დაფასთან გამოვა ორი მოსწავლე- ერთი ,,ბიზანტიის,, გაერთიანებული ჯგუფიდან, მეორე ,,ირანის,, გაერთიანებული ჯგუფიდან,რომლებიც დაფაზე დააფიქსირებენ ,,ცოდნის პირამიდას,, შესაბამისი წარწერით(ბიზანტია და ირანი).ეს მოსწავლეები ერთდროულად მოახდენენ შეჯერებული ინფორმაციის გადატანას დაფაზე დატანილ შესაბამის,,პირამიდებში,,. 4. ინფორმაციის დაფაზე გადატანის პარალელურად ,,ბიზანტიისა,, და ,,ირანის,, ჯგუფიდან ასევე გამოვა თითო მოსწავლე, რომლებიც ვერბალურად წარადგენენ კლასის წინაშე თავიანთ არჩევანს, დაასაბუთებენ ამ არჩევანის/მუხლების უპირატესობას. 5.ჯგუფების მიერ ფლიპჩარტზე შესრულებული დავალებები დაფიქსირდება კედელზე(როგორც ცალკეული ჯგუფების, ისე გართიანებული ჯგუფების).	განსაზღვრა,გადაწყვეტილების მიღება, , ,,ცოდნის პირამიდაში,, დაფიქსირება,გადაწყვეტილების ვერბალური წარდგენა			ვერბალური წარდგენა)
4	გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობა,შეფასების რუბრიკების გაცნობა-მოსწავლეებს განვუმარტავ თემასა და მიზანს, ვახდენ მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრაციას მიზნის	გაკვეთილის თემისა და მიზნის ვერბალური განმარტება,დემონსტრირება დაფაზე ამობეჭდილი ვერსიითა	საერთო საკლასო	კომპიუტერი,პროექტორი,თაბახის ფურცლებზე ამობეჭდილი ვერსია	1 წთ

	ირგვლივ,პარალელურად დაფაზე ვაკრავ ამობეჭდილ ვერსიას, რაც მათ მისცემთ შესაძლებლობას იმისას, რომ იმოქმედონ მიზნის შესაბამისად.	და p.p.-ის მეშვეობით,შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.			
5	ბიზანტიისა და ირანის თითო ჯგუფს მიეცემა შესაბამისი თემატური რუკა, ბიზანტიისა და ირანის დანარჩენ ორ ჯგუფს კი კონტურული რუკები დაურიგდებათ თანდართული კონკრეტული ტექსტებით. ჯგუფებს ეძლევათ ინსტრუქცია; **1..ზოგადი განმარტება**-კონტურული რუკისა და ტექსტის მფლობელი ჯგუფები მოახდენენ ტექსტში მოცემული ინფორმაციის ტრანსფორმაციას კონტურულ რუკებზე.თემატური რუკის მფლობელი ჯგუფები კი მოახდენენ რუკაზე დატანილი ინფორმაციის ტრანსფორმაციას წერილობით(სამუშაო ფურცლებზე), 2.კონკრეტული განმარტება-კონტურული რუკებისა და ტექსტის მფლობელი ,,ბიზანტიისა,, და ,,ირანის,, ჯგუფები კონტურულ რუკაზე დაიტანენ კონკრეტულ ტექსტებში მოცემულ ინფორმაციას(ტექსტში მოცემულია ინფორმაცია ბიზანტიისა და ირანის შესახებ, თუ რა ტერიტორიებს ფლობდნენ ეს სახელმწიფოები იუსტინიანეI-მდე და ხოსროI-მდე).თემატური	ინსტრუქცია,თემატურ რუკასა და კონტურულ რუკაზე მუშაობა ,ინფორმაციის ამოცნობა,ტრანსფორმაცია, ანალიზი,დაფაზე დატანილ ,,ცოდნის პირამიდებში,, შეტანა	ჯგუფები	თემატური რუკები, კონტურული რუკები,კონკრეტული ტექსტები,ფერადი ფანქრები,თაბახის ფურცლები-რუკის ლინკი მოცემულ დროზე-8.11.2017 https://www.pinterest.com/pin/474637248221073960/	8წთ(4წთ დავალების შესრულება,4წთ -წარდგენა-1წთ ყველა ჯგუფს)

	რუკის მფლობელი ,,ბიზანტიისა,, და ,,ირანის,, ჯგუფები კი კონკრეტულ რუკაზე დაყრდნობით გააკეთებენ წერილობით დასკვნას იმის თაობაზე, თუ რა ტერიტორიებს ფლობდა ბიზანტია იუსტინიანე I-ის მმართველობის ბოლოს,ირანი კი ხოსრო I-ის მმართველობის ბოლოს და რაზე მეტყველებს ეს ფაქტი. 3.სამუშაოს დასრულების შემდეგ ჯგუფებს ახალი ინფორმაციები შეაქვთ დაფაზე დატანილ შესაბამის ,,ცოდნის პირამიდაში,, (ეს ორივე ქვეყნის-ბიზანტიისა და ირანის საგარეო პოლიტიკაა).				
6	ინსტრუქცია-გამოიყენეთ კომპიუტერები ან მობილურები(ყველა ჯგუფს აქვს თითო კომპიუტერი ან ინტერნეტში ჩართული მობილური) და ნებისმიერ საძიებო სისტემაზე დაყრდნობით მოიძიეთ ინფორმაცია როგორც იუსტინიანეI-ის, ასევე ხოსროI-ის საშინაო პოლიტიკის კონკრეტული მიმართულებების შესახებ. აქაც ჯგუფებს გასხვავებული დავალებები ექნებათ: პირველი ჯგუფი-იუსტინიანეI-ის საკანონმდებლო მოღვაწეობა, მეორე ჯგუფი- იუსტინიანეI და ეკლესია , მესამე ჯგუფი-ხოსროI და ირანის კულტურა , მეოთხე ჯგუფი-ხოსროI-ის მმართველობის სისტემა . ჯგუფები მოახდენენ	ინსტრუქცია, ინტერნეტის გამოყენება,შესაბამისი ინფორმაციის მოძიება, შესაბამისობების დადგენა, ჩანაწერების გაკეთება,შესრულებული სამუშაოს წარდგენა, დაფაზე დატანილ ,,ცოდნის პირამიდებში,,დაფიქსირება,,	ჯგუფები	კომპიუტერები ან მობილურები, დაფა, მარკერი	10წთ(5წთ სამუშაოს შესრულება,5წთ წარდგენა-1წთ+ -15წამი თითო ჯგუფს)

	კლასის წინაშე მოძიებული მასალის მუხლობრივად წარდგენას. ჯგუფების მიერ ამ ინფორმაციის დაფიქსირებაც მოხდება დაფაზე დატანილ ,,ცოდნის პირამიდაში,,.				
7	მოსწავლეებს ვაწვდი მოკლე (არასრულ)ინფორმაციას ბიზანტია-ირანის ომების შესახებ და შესაბამისად, ვუსვამ კითხვებს: **კითხვა1**- ზოგადად, რის საფუძველზე ხდებოდა ბიზანტიასა და ირანს შორის მეტოქეობა? **კითხვა2**-რომელი ქვეყანა ფიგურირებდა 527-532 წლებისა და 542-562 წლების ბიზანტია- ირანის კონფლიქტის დროს და რა სახით? **კითხვა3**--რატომ იყო ეს ქვეყანა/ქვეყნები მათთვის მნიშვნელოვანი? (ამ აქტივობით მოხდება ბიზანტიისა და ირანის ინტერესების გამოკვეთა საქართველოს მიმართ). ჩემს მიერ მიწოდებული და მოსწავლეებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოსწავლეები ახდენენ შესაბამის ,,პირამიდაში,, კონკრეტული მიმართულებების შეტანას .	მინი-ლექცია,კითხვა-პასუხი, დასკვნების გაკეთება, დაფაზე დატანილ,,ცოდნის პირამიდებში,, მნიშვნელოვანი ინფორმაციების შეტანა.	ინდივიდუალური	p.p.-ში შეტანილი კითხვები	4წთ(1წთ ჩემს მიერ ინფორმაციის მიწოდება,3წთ-კითხვებზე პასუხი და ,,პირამიდაში,, დაფიქსირება)

8	მოსწავლეებს ვუთითებ სახელმძღვანელოს ტექსტში ერთ კონკრეტულ ფრაზას იუსტინიანეს მიერ წარმოთქმულს , რომ ,,იმპერატორს არასოდეს სძინავს,, და #2 წყაროში ბოლო წინადადებას ხოსროს მიერ ნათქვამს:,,ხალხის კეთილდღეობა უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე დიდი არმია და სამეფო სამართლიანობა უფრო დიდი სარგებლის მომტანია , ვიდრე სიუხვის დრონი,,. მოსწავლეებს ვუსვამ კითხვას- ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იუსტინიანეს, რომელიც ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა, არ ეძინა(პირობითად) იმიტომ, რომ ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობდა და ხოსროს სიტყვები ნიშნავს თუ არა იმას, რომ იგი ხალხის კეთილდღეობას ყველაზე მაღლა აყენებდა? რამდენიმე წყვილი ამ ფრაზების შესახებ წარმოადგენს არგუმენტირებულად დასაბუთებულ შეხედულებას (ეს იუსტინიანესა და ხოსროს საშინაო პოლიტიკის კიდევ ერთი მხარეა).	სახელმძღვანელოს ტექსტსა და წყაროზე მუშაობა, კითხვა-პასუხი,დასკვნების გაკეთება კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით	წყვილები	სახელმძღვანელო	4წთ

9	საბოლოო პროდუქტის-რესურსის შექმნა. რესურსის შექმნა მოხდება p.p.-ში ჩემს მიერ წინასწარ შედგენილი ,,საკვანძო საკითხების სქემაში,,(ორი სქემა მაქვს შეტანილი) მოსწავლეების მიერ ,,ცოდნის პირამიდაზე,, დაფიქსირებული გაცხრილული ინფორმაციის (უნდა დატოვონ შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია) გადმოტანით/დაბეჭდვით.სქემის შევსების შემდეგ ეს რესურსი ამოიბეჭდება გაკვეთილზე და გაიკვრება კლასში.	,,საკვანძო საკითხების სქემა,,-კონკრეტული ფაქტების გრაფიკული სახით გამოსახვა,გაკვეთილზე მიღებული ცოდნის ვიზუალური სახით წარმოდგენა,მთავარი საკითხების გამოყოფა,დასკვნის გამოტანა,შესაბამისი ჯგუფების მიერ შესაბამისი სქემის შევსება/ამობეჭდვა	ჯგუფები	კომპიუტერი,პრ ინტერი, p.p.-ში შეტანილი გრაფიკული ორგანიზატორი, ,საკვანძო საკითხების სქემა,,	4წთ

10	შეფასება-მონიტორზე ვუბრუნდებით გაკვეთილის მიზანს. ზოგადად, განმავითარებელი შეფასება-ზეპირი უკუკავშირი/კომენტარი ხდება აქტივობების პარალელურად, მაგრამ გაკვეთილის ბოლოს მოხდება შეფასება კონკრეტულ რუბრიკებზე დაყრდნობით (იხ. ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები). ვახდენ შეფასებას იმისას, თუ რა გამოგვივიდა კარგად და რა არის დასახვეწი, რაზე გვჭირდება ყურადღების გამახვილება და რაც მთავარია, გავედით თუ არა მიზანზე.	ინფორმაციის დამუშავება/შეჯამება,განმავითარებელი შეფასება-ზეპირი კომენტარი, ახსნა-განმარტება ,დაკვირვების ფურცელზე დატანილი ინფორმაციის ანალიზი,მიზნის შესაბამის	საერთო საკლასო	შეფასების კრიტერიუმები-დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის, დაკვირვების ფურცელი წყვილებში მუშაობისათვის, ზეპირი უკუკავშირი/	3წთ

		კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასება		კომენტარი,მიზნის შესაბამისი კრიტერიუმები	
11	საშინაო დავალება-რადგან ამ გაკვეთილზე ძირითადად ყურადღება გამახვილდა იუსტინიანე პირველისა და ხოსრო პირველის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მხოლოდ დადებით მხარეზე, გეძლევათ დავალება:სახელმძღვანელოს ტექსტზე, წყაროებსა და სხვა დამატებით ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეთ ამ ორი პიროვნებიდან ერთ-ერთის (ან იუსტინიანეს, ან ხოსროს) უარყოფითი მახასიათებლები და მასთან დაკავშირებული უარყოფითი ეფექტები მათსავე ქვეყანაში(ესეც საშინაო პოლიტიკის ნაწილია).დავალება შეგიძლიათ შეასრულოთ ზეპირი, წერილობითი ან კომპიუტერული პრეზენტაციის სახით და შეგიძლიათ გადმომიგზავნოთ ელფოსტაზე,facebook-ზე ან წარმოადგინოთ მომდევნო გაკვეთილზე.	ინსტრუქცია, დავალების არჩევის შესაძლებლობა, დავალების სხვადასხვა სახით წარმოდგენა,საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე დავალების შესრულება.	საერთო საკლასო	საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები	1წთ
12	,,გასასვლელი ბილეთები,, -ყველა მოსწავლეს ურიგდება,,გასასვლელი ბილეთები, ,,შესაბამისი კითხვებით,რომელსაც ინდივიდუალურად უნდა გაეცეს პასუხი,მე კი ვახდენ მის გაანალიზებას(გაკვეთილს მიღმა) .	მოსწავლეთა მიერ უკუკავშირის განხორციელება- ,,გასასვლელი ბილეთების,, შევსება	ინდივიდუალური	,,გასასვლელი ბილეთების,, ფორმები	1წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

– მოსწავლეებმა იმსჯელეს და შეაფასეს ბიზანტიისა და ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი იუსტინიანე I–ისა და ხოსროI–ის მმართველობის დროს;

–მოსწავლეებმა გააანალიზეს ბიზანტიისა და ირანის ინტერესები საქართველოს მიმართ იუსტინიანე I–ისა და ხოსროI–ის მმართველობის პერიოდში;

შეფასება:

განმავითარებელი შეფასება - დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისათვის,დაკვირვების ფურცელი წყვილებში მუშაობისათვის, ზეპირი უკუკავშირი/ კომენტარი,მიზნის შესაბამისი კრიტერიუმები.

დაკვირვების ფურცელი წყვილებში მუშაობისათვის

1.ყველა წყვილი
2.წყვილების უმრავლესობა
3.წყვილების მხოლოდ მცირე ნაწილი

კრიტერიუმები	1	2	3
წყვილები ფიქრობენ მიცემულ დავალებაზე;			

წყვილები პარტნიორთან ერთად მსჯელობენ დავალებაზე;			
წყვილებს მომზადებული აქვთ დავალება საერთო- საკლასო გაზიარებისათვის;			

დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისთვის

1.თითქმის არა
2.ნაკლებად
3.საკმაოდ
4.სრულად

	ჩართულობა	თანამშრომლობა	იდეების არგუმენტირებულად დასაბუთება	წარმოდგენილი ინფორმაციის დავალებასთან შესაბამისობა
I ჯგუფი				
II ჯგუფი				
III ჯგუფი				
IV ჯგუფი				

მიზნის შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**

მოსწავლეებმა იმსჯელეს და შეაფასეს ბიზანტიისა და ირანის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი იუსტინიანე I-ისა და ხოსრო I-ის მმართველობის დროს		
მოსწავლეებმა გაანალიზეს ბიზანტიისა და ირანის ინტერესები საქართველოს მიმართ იუსტინიანე I-ისა და ხოსრო I-ის მმართველობის პერიოდში		

საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები

	კრიტერიუმები	**სრულად**	**ნაწილობრივ**
1	შესრულებული დავალება კითხვის ადეკვატურია		
2	პასუხი სრულფასოვანია		
3	მსჯელობა გამყარებულია არგუმენტებით		

გასასვლელი ბილეთები

კითხვები	**პასუხები**
დღევანდელი გაკვეთილის მიზანი იყო...	

დაასახელე ერთი დავალება,რომელიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩნდა შენთვის(განმარტე,რატომ).	
ამ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა დამეხმარება...	
რა შეკითხვები გამიჩნდა?	

ხელმოწერა: **/ნ.მაჭარაშვილი/**
თარიღი: